საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1736
17/05/2022

1736-21-2-202205171253

შპს „კახისს“

მის: ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. დვირი
ელ.ფოსტა: temo1temo1958@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 11 აპრილის N8729 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩითახევში, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 80 მეტრში მდებარეობს შპს „კახისის“ საკუთრებაში არსებული სამშენებლო ბლოკის საწარმო. სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ, მათ შორის საწარმოების ფუნქციონირების პროცესში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზს უახლოეს მოსახლემდე არსებული დაშორების (380 მ) გათვალისწინებით, ასევე ინფორმაციას ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის კოეფიციენტისა და „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის განთავსების GPS კოორდინატები საჭიროებს დაზუსტებას, ხოლო

წყალჩაშვების წერტილთან დაკავშირებით განცხადების ტექსტში მოცემულია განსხვავებული GPS კოორდინატები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო